განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ბიზნესის ადმინისტრირება
ბაკალავრიატი

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი

დასკვნის წარდგენის თარიღი

თბილისი
2020

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტი - შპს |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 204886454 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | ბიზნესის ადმინისტრირება |
| განათლების საფეხური | ბაკალავრიატი |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით | ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი - 02 |
| სწავლების ენა | ქართული |
| კრედიტების რაოდენობა | 240 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი) | აკრედიტებულია აკრედიტაციის საბჭოს 7/18/2018, 81 გადაწყვეტილებით |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | დავით სიხარულიძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ვასილ კიკუტაძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო პროგრამას აკრედიტაცია მიენიჭა 7 წლის ვადით 2018 წლის 18 ივლისს (სხდომის ოქმი N28). პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება განხორციელდა პროგრამის მონიტორინგის პირობებში (სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2020 წლის 30 აპრილის ბრძანება MES 4 20 00356487).

ექსპერტთა ჯგუფის მიერ მონიტორინგის პირობებში შემოწმდა აღნიშნული პროგრამა, რადგან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას „ბიზნესის ადმინისტრირება" 2018 წლის 18 ივლისის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით და საბჭომ მიმართა ცენტს შუამდგომლობით, რომ განეხორციელებინა პროგრამის მონიტორინგი. აღნიშნული რეკომენდაციები ეხებოდა შემდეგ საკითხებს:

1. *რეკომენდებულია სასწავლო კურსის ,,სტრატეგიული მენეჯმენტის" შინაარსში დაკონკრეტდეს რომელი საკითხების შესწავლით შეძლებს სტუდენტი ,,მათემატიკური აპარატისა და გამოთვლითი ტექნიკის გამოყენებას კონკრეტული მოდელების შედგენა–რეალიზაციისას" ან მოხდეს აღნიშნული კომპეტენციის მორგება სასწავლო კურსის შინაარსთან;*
2. *რეკომენდებულია საბაკალავრო ნაშრომის (10 კრედიტი) და პრაქტიკის (10 კრედიტი) კომპონენტები სავალდებულოდ იქნეს შეთავაზებული პროგრამის სტუდენტებისათვის და არ განიხილებოდეს ერთმანეთის ალტერნატივად;*
3. *რეკომენდირებული იყო სასწავლო კურსში ,,საინფორმაციო ტექნოლოგიები" კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით ლექციების შემცირების ხარჯზე გაზრდილიყო პრაქტიკული მეცადინეობების მოცულობა.*
4. *რეკომენდირებული იყო დასუსტებულიყო სასწავლო კურსი ,,ფინანსური ინსტიტუტები და ბაზრები" როგორ (სწავლების რა მეთოდების გამოყენებით) უვითარებდა სტუდენტებს ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარს. კერძოდ: ფინანსების დაგეგმვა და მართვის და სწორი ფინანსური გადაწყვეტილების მიღების უნარს.*
5. *რეკომენდებულია პროგრამის სტუდენტებისათვის პირველ სემესტრში არჩევითი დისციპლინის სახით შეთავაზებული იქნეს პრე-კალკულუსი, რომელსაც სტუდენტი აირჩევს იმის მიხედვით აქვს თუ არა მას ჩაბარებული მათემატიკა ეროვნულ გამოცდებზე, ხოლო სასწავლო კურსის ,,მათემატიკა ეკონომიკისა და ბიზნესისათვის - 1" წინაპირობად მისი შინაარსიდან გამომდინარე, განისაზღვროს მიკროეკონომიკის პრინციპები, რაც სტუდენტებს გაუადვილებს აღნიშნული დისციპლინის შესწავლას;*

6. *რეკომენდებულია „პრაქტიკის" წინაპირობად განისაზღვროს პროგრამით გათვალიწინებული ის სავალდებულო კომპონენტები, რომლებიც სტუდენტს ათვისებული უნდა ჰქონდეს პრაქტიკის კომპონენტის არჩევის მომენტისათვის;*
7. *რეკომენდებულია მეტად გააქტიურდეს პროგრამის პოტენციური დამსაქმებლების როლი პროგრამის შემუშავების პროცესში, სრულად იქნეს გამოყენებული მათი რესურსები პროგრამის განვითარებისათვის;*
8. *რეკომენდებულია სასწავლო კურსებში არსებული ჩანაწერი - დასწრება/აქტივობა რომელიც ფასდება 5 ქულით, დაკონკრეტდეს, ეს დასწრების ქულაა თუ აქტივობის;*
9. *რეკომენდებულია, იმ შემთხვევაში თუ სტუდენტი ჩაიჭრება საბაკალავრო ნაშრომის დაცვაზე მას განმეორებით დაცვაზე გასვლის უფლება არა მომდევნო წელს, არამედ მომდევნო სემესტრში მიეცეს;*
10. *რეკომენდებულია პრაქტიკის სილაბუსში მოცემული ცოდნის შეფასების კრიტერიუმების დეტალური რანჟირება, რათა სტუდენტს ნათლად გაერკვია რა შემთხვევაში იღებდა შეფასების კომპონენტში მოცემულ ქულაზე ნაკლებ ქულას;*
11. *რეკომენდებულია პროგრამის სტრუქტურით გათვალისწინებული არჩევითი დისციპლინა „კომპიუტერული საინფორმაციო სისტემები ბიზნესისათვის" გადავიდეს სავალდებულო დისციპლინების მოდულში;*
12. *რეკომენდებულია პროგრამაში ჩართული სტუდენტების, აკადემიური და მოწვეული პროფესორების ჩართულობის გააქტიურება ინტერნაციონალიზაციის პროცესში;*
13. *რეკომენდებულია კონკრეტულ სილაბუსებში (ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები - 1, 2, საერთაშორისო ბიზნესი, კორპორაციული ეთიკა და სოციალური პასუხისმგებლობა, ეკონომიკური ფსიქოლოგიის საფუძვლები, ბიზნეს-კომუნიკაციები, ორგანიზაციული ქცევის საფუძვლები, ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები, ფინანსური აღრიცხვა - 1, 2, მმართველობითი აღრიცხვა, საგადასახადო საქმე, აუდიტის საფუძვლები, ეკონომიკური ანალიზი) დაკონკრეტდეს, როგორც სილაბუსის ავტორი, ასევე მისი წამკითხველი პერსონალი;*
14. *რეკომენდებულია დაწესებულებამ ხარისხის უზრუნველყოფის "დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე„ ციკლში მეტი ყურადღება დაუთმოს დაწესებულებაში ინტერნაციონალიზაციის პროცესების განვითარებას;*

პროგრამის მონიტორინგის პირობების შესაბამისად დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა საანგარიშო პერიოდში აკრედიტაციის ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციების გათვალისწინებით პროგრამაში განხორციელებული ცვლიელბების პაკეტი, რომლის მონიტორინგის ფარგლებში შემოწმებისას დადგინდა, რომ გაცემული რეკომენდაციები უპირატესად შესრულებულია, კერძოდ:

1. დაკორექტირებულია სასწავლო კურსის „სტრატეგიული მენეჯმენტის" სწავლის შედეგები;
2. პროგრამის სტრუქტურაში სავალდებულო კომპონენტად არის შეთავაზებული საბაკალავრო ნაშრომი (10 კრედიტი) და პრაქტიკა (10 კრედიტი);

3. სასწავლო კურსში ,,საინფორმაციო ტექნოლოგიები“ კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით ლექციების შემცირების ხარჯზე გაზრდილია პრატქიკული მეცადინეობების მოცულობა;
4. დაკორექტირებულია სასწავლო კურსი ,,ფინანსური ინსტიტუტები და ბაზრები“ სწავლის შედეგები;
5. პროგრამის სტუდენტებისათვის პირველ სემესტრში შეთავაზებულია კალკულუსის კურსი, ხოლო სასწავლო კურსები ,, ,,მათემატიკა ეკონომიკისა და ბიზნესისათვის - 1“ და ,,მათემატიკა ეკონომიკისა და ბიზნესისათვის - 2“ ჩამოყალიბებულია ერთუ კურსის სახით ,,მათემატიკა ეკონომიკისა და ბიზნესისათვის“, სადაც კურსის შინაარსიდან გამომდინარე ლოგიკურად არის განსაზღვრული კურსზე დაშვების წინაპირობა კალკულუსის სახით;
6. ,,პრაქტიკის“ წინაპირობად განისაზღვრულია პროგრამით გათვალიწინებული ის სავალდებულო კომპონენტები, რომლებიც სტუდენტს ათვისებული უნდა ჰქონდეს პრაქტიკის კომპონენტის არჩევის მომენტისათვის;
7. გააქტიურებულია პროგრამის პოტენციური დამსაქმებლებთან მუშაობის პროცესი, კერძოდ გაფორმებული ურთიერთანამშრომლობის ახალი მემორანდუმი;
8. დაკორექტირებულია სასწავლო კურესის სილაბუსებში *არსებული ჩანაწერი* - დასწრება/აქტივობა რომელიც ფასდებოდა 5 ქულით, და აღნიშნული 5 ქულა გადანაწილებულია სხვა აქტივბების ქულებში;
9. შემთხვევაში თუ სტუდენტი ჩაიჭრება საბაკალავრო ნაშრომის დაცვაზე მას განმეორებით დაცვაზე გასვლის უფლება ეძლევა მომდევნო სემესტრში;
10. პრაქტიკის სილაბუსში მოცემული ცოდნის შეფასების კომპონენტების კრიტერიუმები დეტალურად არის რანჟირებული;
11. სასწავლო კურსი ,,კომპიუტერული საინფორმაციო სისტემები ბიზნესისათვის“ გადავიდა სავალდებულო დისციპლინების მოდულში;
12. გააქტიურებულია პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პროფესორების ჩართულობა ინტერნაციონალიზაციის პროცესში;
13. დაკონკრეტებულია სილაბუსებში (ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები - 1, 2, საერთაშორისო ბიზნესი, კორპორაციული ეთიკა და სოციალური პასუხისმგებლობა, ეკონომიკური ფსიქოლოგიის საფუძვლები, ბიზნეს-კომუნიკაციები, ორგანიზაციული ქცევის საფუძვლები, ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები, ფინანსური აღრიცხვა - 1, 2, მმართველობითი აღრიცხვა, საგადასახადო საქმე, აუდიტის საფუძვლები, ეკონომიკური ანალიზი), როგორც სილაბუსის ავტორი, ასევე მისი წამკითხველი პერსონალი;
14. გააქტიურებულია დაწესებულებაში ინტერნაციონალიზაციის პროცესების განვითარება;

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ აკრედიტაციის შედეგად გაცემული რეკომენდაციები ფაქტობრივად შესრულებულია. შესაბამისად, მოცემული პირობების გათვალისიწნებით ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა წარმოდგენილია შემდეგი სტრუქტურით: პროგრამის ხანგრძლივობაა 4 აკადემიური წელი (8 სემესტრი). პროგრამის მოცულობაა 240 კრედიტი. სადაც,

**სავალდებულო კომპონენტები: 195 კრედიტი**

- *საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები:* **10** კრედიტი
- უცხო ენის კომპონენტი (ზოგადი) **20** კრედიტი
- *სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები:* **145** კრედიტი
- *საბაკალავრო ნაშრომი სპეციალობაში* **10** კრედიტი
- *პრაქტიკა:* **10** კრედიტი

**თავისუფალი კომპონენტები: 45 კრედიტი**

- *არჩევითი სასწავლო კურსები;*
- *თავისუფალი სასწავლო კურსები.*

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

პროგრამის შემოწმება ექსპერტების მიერ განხორციელდა ვიზიტის გარეშე. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია ექსპერთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის და მონიტორინგის მიზანიდან გამომდინარე, ექსპერტების მიერ განხორციელდა პირველი, მეორე, მეოთხე (4.1 კომპონენტი) და მეხუთე (5.1. და 5.2 კომპონენტი) სტანდარტის შეფასება.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

შეფასებიდან გამომდინარე საგანმანათლებლო პროგრამა შეფასების ყველა სტანდარტის მიხედვით შესაბამისობაშია სტანდარტებთან. თუმცა, 1.2 კომპონენტი მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტებთან.

- **რეკომენდაციები**
  - რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგების გამსხვილება, შესაბამისად მათი რაოდენობის ოპტიმიზაცია და პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკების კორექტირება.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
  - სასურველია ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსების სილაბუსებში სწავლის შედეგები ჩამოყალიბდეს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებული განახლებული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით;
  - სასურველია დაწესებულებამ ინტერნაციონალიზაციის პროცესების კიდევ უფრო გაღრმავების მიზნით აქტიურად გამოიყენოს ასევე სტუდენტური გაცვლითი პროგრამების, საერთშორისო სამეცნიერო კვლევითი საგრანტო პროექტების და ა.შ. აქტივობების აპრობირებული ფორმები.
  - სასურველია დაწესებულებამ ხარისხის გარე შეფასების მექანიზმად გამოიყენოს დარგის ადგილობრივი ან უცხოელი გარე ექსპერტების ჩართულობის პრაქტიკა.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

# პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

## 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| 1.1 პროგრამის მიზნები |
|---|
| პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში. |
| ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის მიზანია მოამზადოს შიდა და საერთაშორისო საგანმანათლებლო და შრომით ბაზარზე კონკურენტუნარიანი ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავ-რის აკადემიური ხარისხის მქონე სპეციალისტები, რომლებსაც ექნებათ ფართო ცოდნა ბიზნესის ადმინისტრირების ყველა მიმართულებით. პროგრამის მიზანი ასახავს იმ ცოდნასა და კომპეტენციებს რომლებიც უნდა გააჩნდეს ბიზნესის ადამინისტრირების საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულებს. პროგრამის მიზანი შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მისიასთან, რომელის თანახმადაც უნივერსიტეტი მოწოდებულია განუვითაროს სტუდენტებს კრიტიკული, ინოვაციური და შემოქმედებითი აზროვნება, რაც ქვეყნის წარმატების და საზოგადოების განვითარების გადამწყვეტი ფაქტორია; უზრუნველყოს უნივერსიტეტის ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაცია; აკადემიური და კვლევითი საქმიანობის შედეგად გადასცეს სტუდენტებს ინფორმაცია და შექმნას ახალი ცოდნა; მაქსიმალურად მოამზადოს სტუდენტი იმ ცვლილებებისათვის, რომლის პირობებშიც მოუწევს მას მომავალი საქმიანობა. პროგრამის მიზანი შესაბამისობაში უნივერსიტეტის მისიასთან და მისი მიღწევა ხელს შეუწყობს როგორც დარგის, ისე საზოგადოების განვითარებას, კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური ბიზნესის ადმინისტრირების სპეციალიტების მომზადებით. პროგრამის მიზანი რეალური და მიღწევადია. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>○ ”ბიზნესის ადმინისტრირების” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;<br>○ შპს საქართველოს დავით აღმაშენებლის სახელობის უნივერსიტეტის მისია; |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |

შეფასება

■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საბაკალავრო პროგრამა ორიენტირებულია ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის დასაქმების სფეროზე და მიზნად ისახავს უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს ბაკალავრიატის საფეხურის აღმწერის შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევას და ბაკალავრის საქმიანობისთვის საჭირო კომპეტენციების ჩამოყალიბებას, რაც ხდება საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტების შესწავლის შედეგად მიღწეული ცოდნის და უნარების სინთეზის საფუძველზე. საბაკალავრო  პროგრამის სწავლების შედეგები აღწერს თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას და უნარებს, რომელთა დემონსტრირების საშუალება ექნებათ კურსდამთავრებულებს პროგრამის დასრულების შემდეგ. თუმცა აღნიშნული სწავლის შედეგები გაწერილია  აკრედიტაციის ძველი სტანდარტით, როდესაც არ მოქმედებდა სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების მოთხოვნები. რაც პროგრამის წინა აკრედიტაციის დროს, რომელიც 2018 წელს განხორციელდა არ საჭიროებდა კორექტირებას, თუმცა დღეს მოქმედი სტანდარტების მოთხოვნებიდან გამომდინარე რეკომენდებული იქნება პროგრამის სწავლის შედეგების გამსხვილება, შესაბამისად მათი რაოდენობის ოპტიმიზაცია და პროგრამის  მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკების კორექტირება. რადგან, შესაძლებელი იყოს სწავლის შედეგების გაზომვა.  ამასთან, ვინაიდან დაწესებულება ანხორციელებს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებას, სადაც ჩართულია პროგრამის სტუდენტები, კურსდამთავრებულები, აკადემიური და მოწვეული პერსონალი და ამავე დროს დაწესებულებაში წინა აკრედიტაციის დროს გადამოწმებული იქნა მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების არსებობა და ფუქციონირება. ასევე, პროგრამას თან ერთვის პროგრამის სტუდენტების, კურსდამთავრებულების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვის შედეგების  შეფასებების ანალიზი.

| მტკიცებულებები/ინდიკატორები |
|---|
| ○ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა;<br>○ სასწავლო კურსის სილაბუსები;<br>○ პროგრამის 2018 წლის 18 ივლისს (სხდომის ოქმი N28) აკრედიტაციის გადაწყვეტილება;<br>○ პროგრამის სტუდენტების, კურსდამთავრებულების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის გამოკითხვის შედეგები; |
| რეკომენდაციები:<br><br>• რეკომენდებულია პროგრამის სწავლის შედეგების გამსხვილება, შესაბამისად მათი რაოდენობის ოპტიმიზაცია და პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკების კორექტირება. |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>■ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | √ | | | |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

| 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები |
|---|
| უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. |
| საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების მქონე პირს ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების, შიდა/გარე მობილობის განხორციელების და ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. საბაკალავრო პროგრამაზე შესაძლებელია შიდა ან გარე მობილობის წესით ჩარიცხვა სტუდენტის მიერ ათვისებული პროგრამისა და "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო პროგრამის თავსებადობის დადგენისა და შესაბამისი კრედიტების აღიარების გზით. ინფორმაცია პროგრამაზე დაშვების წინაპირობების შესახებ საჯაროა და განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა;<br>○ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი - https://sdasu.edu.ge/. |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br><br>■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი |
| --- |
| პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. |
| ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია ხარისხის უწყვეტობის ინსტრუქციის მიხედვით, რომლის ერთ-ერთი მუხლი განსაზღვრავს საბაკალავრო პროგრამის შემუშავების მექანიზმს. პროგრამის ხანგრძლივობა 4 აკადემიური წელი ანუ 8 სემესტრია და მოიცავს 240 კრედიტს; პროგრამის ფარგლებში სტუდენტის დატვირთვა ითვალისწინებს საკონტაქტო და დამოუკიდებელ მუშაობას და მოიცავს: სასწავლო კურსებს (ლექციები, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკულ მუშაობა, სემინარი და სხვ. შუალედური და დასკვნითი გამოცდების მომზადება-ჩაბარება); საბაკალავრო ნაშრომს სპეციალობაში (მომზადება-დაცვა) და პრაქტიკას (ანგარიშის მომზადება და დაცვა). პროგრამის სტრუქტურაში სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები მოდულის მოცულობაა 145 კრედიტი, საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსების მოდულის მოცულობაა 10 კრედიტი, უცხო ენის კომპონენტების მოდულის მოცულობაა 20 კრედიტი. თავისუფალი კომპონენტები: არჩევითი სასწავლო კურსები/თავისუფალი სასწავლო კურსები - 45 კრედიტი.<br><br>საბაკალავრო პროგრამა იწყება ძირითადი ცოდნის საფუძვლების შექმნით ანუ სპეციალობის იმ სავალდებულო სასწავლო კურსების შესწავლით, რომლებიც წარმოადგენს სპეციალობის სხვა სასწავლო კურსების შესწავლის წინაპირობას. გარდა ამისა, საბაკალავრო პროგრამის დასაწყისში გათვალისწინებულია ინგლისური ენის (მათ შორის, ბიზნეს ინგლისური ენა) და საინფორმაციო ტექნოლოგიების სავალდებულო სასწავლო კურსების შესწავლა, რაც ხელს უწყობს ინგლისურენოვანი (მათ შორის სპეციალური) ლიტერატურით და ინტერნეტ-რესურსებით სარგებლობას. პროგრამაში მოცემულია სწავლის შედეგები, რომელიც წარმოდგენილია აკრედიტაციის ძველი სტანდარტით და შესაბამისად საჭიროა მისი ოპტიმიზაცია, რაზეც პირველი სტანდარტის 1.2 კომპონენტში არის რეკომენდაცია გაცემული.<br><br>აკრედიტაციის რეკომენდაციების გათვალისწინებით წარმოდგენილ საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურასა და შინაარსი განხორციელებულია გარკვეული ცვლილებები, რაც უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. კერძოდ: ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში მე-8 სემესტრში სტუდენტებისთვის შეთავაზებულია პრაქტიკას და ასევე |

საბაკალავრო ნაშრომის მომზადება. პრაქტიკისა და საბაკალავრო ნაშრომის მოცულობაა - 10 კრედიტი. ასევე რეკომენდაციის გათვალისწინებით სასწავლო კურსის ,,კომპიუტერული საინფორმაციო სისტემები ბიზნესში“ სწავლება გახდა სავალდებულო, რომელიც განისაზღვრა 5 კრედიტით და ისწავლება მე-6 სემესტრში. ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამას დაემატა სასწავლო კურსი კალკულუსი. სასწავლო კურსი ,,მათემატიკა ეკონომიკისა და ბიზნესისათვის - 1“ და ,,მათემატიკა ეკონომიკისა და ბიზნესისათვის - 2“ ჩამოყალიბდა როგორც ერთიანი სასწავლო კურსი ,,მათემატიკა ეკონომიკისა და ბიზნესისათვის“, შესაბამისად დაკორექტირებულია კურსის შინაარსი, რაც არ მოითხოვს კურსის შესწავლისათვის წინაპირობად ,,მიკროეკონომიკის პრინციპების“ სასწავლო კურსის არსებობას და მის წინაპირობად განსაზღვრულია ,,კალკულუსის“ სასწავლო კურსის, რაც ლოგიკური და მისაღებია. დაკორექტირებულია ასევე ,,პრაქტიკის“ წინაპირობა, კერძოდ რეკომენდაციის შესაბამისად პრაქტიკის წიპირობად განსაზღვრულია პროგრამის სასწავლო გეგმით განსაზღვრული სპეციალობის სავალდებულო კურსები.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე ცხადია, რომ მოცემულ კომპონენტში გაცემული რეკომენდაციები სრულად არის შესრულებული და პროგრამის სტრუქტურა, მისი შინაარსი შესაბამისობაშია მისანიჭებელი კვალიფიკაციასთან და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო პროგრამა;
- სასწავლო კურსის სილაბუსები;
- პროგრამის 2018 წლის 18 ივლისის (სხდომის ოქმი N28) აკრედიტაციის გადაწყვეტილება;

**რეკომენდაციები**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევა**

**შეფასება**

■ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.3. სასწავლო კურსი

| |
|---|
| ➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;<br>➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. |
| სასწავლო კურსის სწავლის შედეგები, მიზნები, შეფასების სისტემა, სწავლის მეთოდები, შინაარსი და გამოყენებული ლიტერატურა მოცემულია სასწავლო კურსის სილაბუსებში. სილაბუსში მოცემული კომპონენტები იმყოფებიან ერთმანეთთან ლოგიკურ ბმაში, რაც მთლიანობაში შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურს. სილაბუსში მითითებული გამოყენებული ლიტერატურა (ძირითადი და დამატებითი) შესაბამისობაშია კურსის სწავლის შედეგებთან.<br><br>პროგრამაში ძირითადად გამოყენებულია სწავლების შემდეგი მეთოდები: ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, ინდივიდუალური მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, სემინარი, ელექტრონული რესურსით სწავლება, რომლებიც თავის მხრივ მოიცავენ შემდეგ აქტივობებს: ახსნა-განმარტებას, ზეპირსიტყვიერს, შემთხვევების შესწავლას (Case Study), ჯგუფში (Collaborative) მუშაობას, დისკუსიას, წერით მუშაობას, პრაქტიკულს, დემონსტრირებას, რაც თავის მხრივ ემსახურება ცალკეული სასწავლო კურსის ფარგლებში დასახული შედეგების მიღწევას.<br><br>მოცემული კომპონენტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა გაცემული შემდეგი რეკომენდაცია: ,,სასწავლო კურსის ,,სტრატეგიული მენეჯმენტის“ სილაბუსის მიხედვით ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების ერთ-ერთი უნარია მათემატიკური აპარატისა და გამოთვლითი ტექნიკის გამოყენება კონკრეტული მოდელების შედგენა–რეალიზაციისას, თუმცა სასწავლო კურსის შინაარსში არ ჩანს რა მათემატიკურ აპარატსა და გამოთვლით ტექნიკას შეისწავლიან სტუდენტები“. სტრატეგიული მენეჯმენტის სასწავლო კურსის სილაბუსის ანალიზის შემდეგ გამოვლინდა, რომ აღნიშული რეკომენდაცია გათვალისწინებულია ანუ დაკორექტირებულია ,,სტრატეგიული მენეჯმენტის“ სასწავლო კურსის სწავლის შედეგები. ასევე, სასწავლო კურსში ,,საინფორმაციო ტექნოლოგიები“ კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით გაზრდილია პრაქტიკული მეცდიანეობის მოცულობა, კერძოდ სასწავლო კურსის 5 კრედიტიანი. საკონტაქტო და დამოუკიდებელი მეცადიენობა არის 125 საათი. მათ შორის 32 სთ. საკონტაქტო (29 სთ. - პრაქტიკული მეცადინეობა, 1 სთ. - შუალედური გამოცდა, 2 სთ. - დასკვნითი გამოცდა) და 93 სთ. დამოუკიდებელი მუშაობის საათები. დაკორექტირებულია ასევე ,,ფინანსური ბაზრების და ინსტიტუტების“ სასწავლო კურსის სწავლის შედეგები, მათ შორის გაცემული რეკომენდაციის ფარგლებში და უნარების ნაწილი ჩამოყალიბებულია შემდეგი სახით: ,,წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად შეუძლია ფინანსების დაგეგმვა, მართვა და ფინანსური ინსტრუმენტების სწორად გამოყენება“, რაც ლოგიკურად მიღწეული უნდა იქნეს კურსის ფარგლებში გამოყენებული სწავლების მეთოდებით. |

დაკორექტირებულია ასევე ზოგიერთ სასწავლო კურსების (ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები - 1, 2, საერთაშორისო ბიზნესი, კორპორაციული ეთიკა და სოციალური პასუხისმგებლობა, ეკონომიკური ფსიქოლოგიის საფუძვლები, ბიზნეს-კომუნიკაციები, ორგანიზაციული ქცევის საფუძვლები, ბუღალტრული აღრიცხვის საფუძვლები, ფინანსური აღრიცხვა - 1, 2, მმართველობითი აღრიცხვა, საგადასახადო საქმე, აუდიტის საფუძვლები, ეკონომიკური ანალიზი) სილაბუსებში მითითებული არის არა მარტო სილაბუსის ავტორი, არამედ მისი წამკითხველი პერსონალიც. პროგრამის სასწავლო კურსების ფარგლებში გამოყენებული ლიტერატურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადია, რომ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენეტში გამოთქმული რეკომენდაციები გათვალისწინებულია პროგრამის სასწავლო კურსების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. ამასთან, პროგრამის სასწავლო კურსების სწავლის შედეგები გაწერილია აკრედიტაციის ძველი სტანდარტით, შესაბამისად სასურველია სასწავლო კურსების სწავლის შედეგების ფორმირება დღეს მოქმედი სტანდარტების მოთხოვნების გათვალისწინებით.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო პროგრამა;
- სასწავლო კურსის სილაბუსები;
- პროგრამის 2018 წლის 18 ივლისის (სხდომის ოქმი N28) აკრედიტაციის გადაწყვეტილება;

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- სასურველია ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსების სილაბუსებში სწავლის შედეგები ჩამოყალიბდეს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებული განახლებული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით.

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

**შეფასება**

■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

| |
|---|
| **2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება** |
| პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას. |
| პროგრამაში შემავალი რიგი სასწავლო კურსები მოიცავენ სხვადასხვა დონის პროექტის, პრეზენტაციის შესრულებას. პროგრამაში წარმოდგენილი თითოეული საგანმანათლებლო კურსი მოიცავს პრაქტიკული დატვირთვას, რომელიც სტუდენტს შესაძლებლობას აძლევს გამოიმუშაოს/განავითაროს პრაქტიკული უნარები. გარდა, ამისა პროგრამის ფარგლებში გაფორმებულია ახალი ურთიერთანამშრომლობის მემომრანდუმი შპს ,,G.T-compan", სადაც განსაზღვრულია მომავალი თანამშრომლობის ფორმები და ინტენსივობა, პროგრამის ინტერესების გათვალისწინებით. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა;<br>○ მემორანდუმი დამსაქმებელთან; |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)** |
| **შეფასება**<br><br>■ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები** |
| პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. |
